ბასკია

აშშ | 1996 | მხატვრული | 106 წთ | 15

რეჟისორი: ჯულიან შნაბელი
სცენარის ავტორი: ჯულიან შნაბელი
ოპერატორი: რონ ფორტუნატო
მხატვარი: ჯონ დიუნი
მონაწილეობენ: ჯეფრი ურაითი, დევიდ ბოუვი, დენის ჰოპერი, გარი ოლდმანი, ბენისიო დელ ტორო, კლერ ფორლანი, მაიკლ ვინკოტი

სინოფსისი:

ბიოგრაფიული დრამა „ბასკია“ ჟან მიშელ ბასკიას დრამატული და არაორდინალური მოვლენებით აღსავსე ცხოვრებას გვაცნობს. ფრანგი წარმოშობის ამერიკელი არტისტი (მხატვარი) 27 წლის ასაკში, დიდების ზენიტში გარდაიცვალა.

კინორეკომენდაცია:

Modigliani

Factory Girl



Pollok



ეპოქალური კონტექსტები: მე-20 საუკუნე, 1980-იანი წლების ამერიკა.

* ამერიკელმა მხატვარმა ჟამ მიშელ ბასკიამ, ნიუ-იორკში პოპულარობა გრაფიტის მხატვრობით მოიპოვა. 1980-იან წლებში ის ნეოექსპრესიონიზმისა და პანკ არტისა ერთ-ერთი ფუძემდებელი ხდება. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია პერიოდი სამ პერიოდად იყოფა: ადრეული პერიოდი, 1980-1982 წლები, ის ამ დროს ინტერესდება ადმიანის და ცხოველის ჩონჩხებით და ნიღაბისებური სახეებით, ამ ფორმით ავლენდა მხატვარი ინტერესს სიკვდილის თემის მიმართ. შუა პერიოდი, 1982 წლიდან 1985 წლამდე, ამ დროს დომინირებს მისი ინტერესი ჰაიტური წარმომავლობისადმი. უკანასკნელი პერიოდი 1982 წლიდან 1988 წლამდე გაგრძელდა, ამ დროს ვლინდება მხატვრის ახალი გამომსახველობითი ხერხები და მანერები.

* 1988 წელს ბასკია, 27 წლის ასაკში საკუთარ სამხატვრო სტუდიაში გარდაიცვალა, ჰეროინის ჭარბი დოზის მიღების შედეგად.

* ფილმში, 1960-იანი წლების ამერიკელი არტისტის, რეჟისორის და პოპ-არტის მიმდინარეობის მხატვრის ენდი ვორჰოლის როლს, მეოცე საუკუნის უდიდესი მუსიკოსი დევიდ ბოუი ასრულებს, შვეიცერიელი გალერისტის და კოლექციონერის ბრუნო ბიშოფბერგერის როლს ამერიკელი მსახიობი დენის ჰოპერი განასახიერებს. ამერიკელი პოეტის, მხატვრის, მსახიობისა და ხელოვნების კრიტიკოსის რენე რიკარდის როლს მიშელ ვინკოტი განასახიერებს.

* ბრიტანელი მსახიობი გარი ოლდმანი ფილმში, გამოგონილი პერსონაჟის როლს ასრულებს. ალბერტ მილო, ბასკიას ცხოვრებაში რეალურად არ არსებობდა, კრიტიკოსების აზრით მილოს პერსონაჟი თავად ფილმის რეჟისორის ჯულიან შნაბელის პროტოტიპია, ეს რეჟისორის თვითირონიული კინემატოგრაფიული ინტერპრეტაცია გახლავთ, საკუთარი პერსონის მიმართ.

* ბასკია დღემდე არაერთი ხელოვანის შთაგონების წყაროა, გარდაცვალების შემდეგ მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა. მისი 1981 წლით დათარიღებული, უსახელო ნამუშევარი, 2007 წელს 14,6 მლნ. დოლარად გაიყიდა. 1985 წელს New York Times Magazine-მა, ბასკია 1980-იანი წლების ყველაზე ახალგაზრდა და საინტერესო არტისტად მოიხსენია.

საკითხები დისკუსიისთვის:

* ბასკია, რომ თეთკანიანი ყოფილიყო შეიცვლებოდა თუ არა მისი ბიოგრაფია და შემოქმედება?

* ისტორიკოსები მხატვრის შემოქმედებას, 1980-იანი წლების წინააღმდეგობრივი კულტურის პროდუქტს უწოდებდნენ, თქვენი აზრით რას უნდა ნიშნავდეს ეს ფრაზა?

* ბასკია გრაფიტის ნიუ-იორკის ქუჩებში ასეთი წარწერით ასრულებდა SAMO-Same old Shit. თქვენი აზრით რას უნდა ნიშნავდეს ეს ფრაზა და რამდენად „სწორი“ მეთოდებით ცდილობდა ის საზოგადოების ყურადღების მიპყრობას?

* როგორია ფილმში წარმოდგენილი ბასკიას პერსონაჟი, რამდენად ჰგავს რეალურ პროტოტიპს? რა იყო რეჟისორის მიზანი, როცა მხატვრის ბიოგრაფიულ დრამას ქმნიდა?

* აღწერეთ ბასკიას დამოკიდებულება კოლეგებისა და კონკურენტების მიმართ?

* რეალურ ცხოვრებაში ბასკია და ენდი უორჰოლი ერთმანეთს 1981 წელს შეხვდნენ და ამერიკული პოპ-არტის სახე-სიმბოლო სიცოცხლის ბოლომდე ახალგაზრდა არტისტის უახლოესი მეგობარი და მენტორი იყო. მათ ერთობლივი ნამუშევრებიც შექმნეს, სადაც ბასკიას გრაფიტი და უორჰოლის პოპი გაერთიანდა. ფილმში როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება? ხასიათის რა შტრიხებზე აკეთებს ფილმის ავტორი აქცენტებს?

* ფინანსური წარმატების შემდეგ ბასკიას ცხოვრება შეიცვალა, როგორც ამბობენ „ჟან მიშელი იქცა იმად, რასაც აკრიტიკებდა“ როგორ და რა ფორმითაა ფილმში ასახული, მხატვრის ცხოვრებაში არსებული გარდამტეხი მომენტები?

* თქვენი აზრით, სად გადის ზღვარი ხელოვნებასა და რეალურ ცხოვრებას შორის? რამდენად ახერხებს ფილმში ბასკიას პერსონაჟი (და სხვა ხელოვანი ადამიანები) ამ „ზღვარის დაცვას“? სჭირდება თუ არა ხელოვნებას საზღვრები?

დაწერე ფილმის შესახებ

ეპოქალური კონტექსტების და დისკუსიის შედეგად გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით ფილმზე წერის დროს აქცენტი გააკეთეთ, მხატვრის პერსონაზე. თუ მისი კარიერის დასაწყიში პრიორიტეტი მინიმალიზმი იყო, პრიმიტიული და ნეოექსრესიონისტული სტილის გავლენით სრულიად ახალ ხელწერას ქმნის.ბასკიას შემოქმედება გარკვეულწილად მისმა საყვარელმა ანიმაციებმა და ბავშობის დროინდელმა მოგონებებმა განსაზღვარა. ფილმში მიმდინარე მოვლენებთან ერთად, ყურადღება მიაქციეთ მის წარმომავლობას, რომელსაც თავად მხატვარი ვიზუალური ფორმით ყოველთვის ხაზს უსვამს: შავკანიანი სპორტსმენები, მწერლები, მუსიკოსები-გვირგვინით არიან წარმოდგენილნი! მისი შემოქმედება გაჯერებულია სხვადასხვა გზავნილებით, მეტაფორებითა და სიმბოლოებით. ეცადეთ რამდენიმე ნახატის მაგალითზე, ფილმის შესახებ წერისას, იმსჯელოთ რას უნდა ნიშნავდეს თითოეული მათგანი კონკრეტული ნამუშევარი.

ინდივიდუალური მუშაობისთვის

მოიძიეთ დამატებითი მასალა, 1980-იანი წლების ამერიკული ხელოვნების შესახებ. ბასკიას შემოქმედება განიხილეთ კულტუროლოგიურ ჭრილში. თავად მხატვარი ინსპირირებული იყო აფრო-ამერიკული ისტორიით, რომლის იდეებსაც, თავის შემოქმედებაში რასიზმთან ბრძოლის კომბინაციაში, 1980 იანი წლების ამერიკის კონტექსტში გამოხატავდა.

ჯგუფური მუშაობისთვის / დამატებითი აქტივობები

ეს ფილმი დამატებით სასწავლო რესურსად შეგიძლიათ გამოიყენოთ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სასწავლო მოდულში.

ბასკიამ აფრო-ამერიკული და ლათინური გამოცდილება, ელიტარულ სახელოვნებო სივრცეს მოარგო. 1980-იანების ნიუ-იორკის ქუჩები, ვუდუს კულტურა, ქრისტიანული მითოლოგია, ანტიკური სამყაროს გმირები-ბასკიას შემოქმედებითი სამყაროს შემადგენელი ნაწილია. რომ 8 წლის ასაკში ქუჩაში თამაშის დროს მას მანქანა დაეჯახა, მოიტეხა ხელი და მძიმე დაზიანებებიც მიიღო. რეაბილიტაციის პერიოდში დედამ-სამედიცინო სახელმძღვანელო-გრეის ანატომია მიუტანა. წიგნში არსებული ანატომიური ჩანახატები ახალგაზრდა მხატვრისთვის ინსპირაცია გახდა.იმსჯელეთ, რა იყო ბასკიას პოპულარობის მიზეზი, რამდენად იკითხებოდა მის ნამუშევრებში მისი ბიოგრაფიული პასაჟები.

პრაქტიკული ნაწილი:

დისკუსიის და ჯგუფური მუშაობის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ ნარატიულ მასალას ვიზუალური ფორმა მისცენ. შექმენით კედლის გაზეთი ან პრეზენტაცია ელექტრონული ფორმით, სადაც ბასკიას შემოქმედების რომელიმე ერთ კონკრეტულ პერიოდს ან თუნდაც ერთ ფერწერულ ტილოს გაანალიზებთ ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.

მოსალოდნელი შედეგი:

ფილმის ნახვის შემდგომი დისკუსიისა და რეცენზიის შექმნის შედეგად, რომელშიც აუცილებელია გამოიყენოთ ეპოქალური კონტექსტები და აღნიშნული რეკომენდაციები, მოსწავლეს უფრო მეტი ეცოდინება ფრანგი მხატვრის ჟან მაიკლ ბასკიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.